საქართველოს
გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში 2022 წელი

საქართველო, თბილისი, 0114
გულუას ქ. 6

www. mepa.gov.ge
www.des.gov.ge

ცხელი ხაზი 153

სარჩევი

გარემოსდაცვითი კონტროლის გაძლიერება 2

ორგანიზაციული სტრუქტურა 4

ბიუჯეტი 6

საინფორმაციო ელექტრონული სისტემები 7

ცხელი ხაზი - 153 9

კანონდარღვევათა სტატისტიკა 10

რეგულირების ობიექტების ინსპექტირება 14

პრევენციული ღონისძიებები 19

განსახორციელებელი გეგმები - 2023 22

გარემოსდაცვითი კონტროლის გაძლიერება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N26 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა - გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხე-ტყის კონტროლის გაძლიერება ხე-ტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა; სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენცია; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებით, გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ასოცირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, დეპარტამენტის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა:

- საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების კონტროლი;
- პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი;
- მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.

სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა (2021 წ.) ხელი შეუწყო დეპარტამენტის გააქტიურებას ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით; მათ შორის, მიმდინარეობს მუშაობა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი

ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring) მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების ჩასართავად, რომელთაც გააჩნიათ გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრისა და მონაცემების აღნიშნულ სისტემაში უწყვეტად გადმოცემის ვალდებულება.

უკანონო ტყითსარგებლობის, ბრაკონიერობის ფაქტების პრევენციის, შემაკავებელი გარემოს შექმნის მიზნით შემუშავდა წინდადებები ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გასამკაცრებლად. მათ შორის:

- გამკაცრდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაცულ ტერიტორიებზე ხე-ტყის უკანონო მოპოვების/ ტრანსპორტირებისთვის, მრგვალი ხე-ტყის (მორის) სპეციალური ფირნიშის ან ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირებისათვის; წიაღით სათანადო ლიცენზიის გარეშე სარგებლობისთვის;
- ელექტროდენით, ელექტროშოკის აპარატით ან სხვა აკრძალული იარაღით თევზჭერისთვის გაუქმდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და დაწესდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „ტყის ზედამხედველობის გაძლიერება“ - ფარგლებში შეძენილ იქნა მაღალი გამავლობის ავტომანქანები, ფოტოხაფანგები, სხვა მოწყობილობები; ტყის რესურსების კონტროლის მიმართულებით მომუშავე ინსპექტორებისა და პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინიგები დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ თემებზე, მათ შორის პრაქტიკული და საველე სწავლებები. სულ სწავლება გაიარა 130 თანამშრომელმა.

ორგანიზაციული სტრუქტურა

დეპარტამენტი საქმიანობას ახორციელებს ცენტრალურ აპარატში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების, 7 რეგიონული სამმართველოსა და შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მეშვეობით.

2022 წლის მდგომარეობით დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება 856 საშტატო ერთეულს შეადგენს.





საშტატო რიცხოვნების დინამიკა, 2013-2022 წ.წ.

2022 წელს დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა ახალი სამსახური, კერძოდ, დეპარტამენტზე დაკისრებული ფუქციების ეფექტიანად შესრულების მიზნით გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამმართველოს საწარმოების კონტროლის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა **სამრეწველო ემისიებისა და ნარჩენების კონტროლის სამსახური** (14 საშტატო ერთეული), რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით (მათ შორის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი;
- გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- ნარჩენების (გარდა ბირთვული და რადიაციული ნარჩენებისა) მართვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- საფრთხის შემცველი ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევებით გარემოს დაბინძურების სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და სხვა უფლება-მოვალეობები.

ბიუჯეტი

“საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” კანონით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დაფინანსება **20 250,0 ათ.** ლარით განისაზღვრა.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები (ათ. ლარი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	**2018 წ.**	**2019 წ.**	**2020 წ.**	**2021 წ.**	**2022 წ.**
სულ	**11 136.6**	**17 831.6**	**15 364.3**	**16 850.0**	**20 250,0**
ხარჯები	10 002.4	14 170.4	15 324.2	16 550.0	19 250,0
– *შრომის ანაზღაურება*	*6 288.0*	*8 784.8*	*10 238.6*	*11 000.0*	*13 200,0*
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 134.2	3 661.3	40.1	300.0	1 000,0



ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2018-2022 წ.წ.

საინფორმაციო ელექტრონული სისტემები

რეგულირების ობიექტების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საინფორმაციო სისტემების მართვასა და განვითარებას (emoe.gov.ge):

- **მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა** - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები ახორციელებენ ტყეკაფების აღრიცხვას, დამზადებულ ხე-ტყეზე გამოწერილი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების ასახვასა და სისტემაში ელექტრონულად ატვირთვას. 2022 წელს ელექტრონულ სისტემაში ყოველდღიურ ანგარიშგებას დამზადებული ხე-ტყის თაობაზე ხორციელდებოდა ხე-ტყის დამზადების **12** სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში.
- **სახერხი საამქროების ელექტრონული სისტემა** - 2022 წლის მდგომარეობით, სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი **763** საამქრო. სახერხი საამქროები ახორციელებენ მრგვალი მორის მიღება-გადამუშავების აღრიცხვას, გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის ასახვას და პროდუქტის გატანის რეგისტრაციას.
- **თევზჭერის ელექტრონული სისტემა** - თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მფლობელები და სამრეწველო თევზჭერის განმახორციელებელი პირები ახორციელებენ სამრეწველო თევზჭერის პროცესების ელექტრონულად მართვას; 2021-2022 წ.წ. თევზჭერის სეზონზე, შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის **9** ლიცენზიის დაქვემდებარებაში არსებული ან იჯარით მომუშავე თევზსაჭერი გემები "ელექტრონულ სარეწაო ჟურნალში" online-რეჟიმში ასახავენ თევზჭერის მონაცემების აღრიცხვას.
- განხორციელდა ცვლილებები **თევზჭერის ელექტრონულ ჟურნალში,** ადგილობრივი თევზსაჭერი გემებისა და გემთმფლობელებისთვის, რომლებიც მუშაობენ ე.წ. 12%-იანი კვოტის ფარგლებში, შემუშავდა რეპორტინგის სისტემა, ასევე საშუალება აქვთ თევზჭერის პროცესები ასახონ ელექტრონულად. 2023 წლისთვის დაგეგმილია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა მათ სავალდებულო წესით ელექტრონულად აწარმოონ თევზჭერის აღრიცხვა, ნაცვლად ამჟამად მოქმედი ქაღალდის ჟურნალისა.
- **ელექტრონული მოდული „სახაზინო კოდი - 3033 გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებელის გადახდის თაობაზე"** - მისი მეშვეობით კონტროლის განმხორციელებელი ელექტრონულ სისტემაში (ms.emoe.gov.ge) ამოწმებს მოსაკრებლის გადახდის ფაქტს.

- 2022 წელს მიმდინარეობდა მუშაობა **მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring)** მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების ჩასართავად, რომელთაც გააჩნიათ გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრისა და მონაცემების აღნიშნულ სისტემაში უწყვეტად გადმოცემის ვალდებულება.
- დასრულდა მუშაობა „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის“ შემუშავებაზე. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მომზადებულია და წარდგენილია პარლამენტში, რომლის შემდგომ განხორციელდება დანერგვის ღონისძიებები.





ცხელი ხაზი - 153

24-საათიანი "ცხელი ხაზის - 153" საშუალებით დეპარტამენტი მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან იღებს შეტყობინებებს გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების შესახებ, რომლებზეც ოპერატიული რეაგირება ხორციელდება; მოქალაქეებს ასევე საშუალება აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

2022 წელს „ცხელ ხაზზე - 153" შემოვიდა **2978** შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეაგირება და გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

შეტყობინების თემატიკა	**რაოდენობა**
• სახერხი საამქროს ელექტრ. ჟურნალის წარმოებაზე	838
• ტყის კანონმდებლობის დარღვევა	309
• ნარჩენებით გარემოს დაბინძურება	587
• ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	458
• ელექტრო-მაგნიტური გამოსხივება	41
• სუნი	121
• ხმაური	22
• უკანონო თევზჭერა	206
• უკანონო ნადირობა	74
• ცხოველთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევა	29
• წიაღის კანონმდებლობის დარღვევა	110
• წყლის კანონმდებლობის დარღვევა	19
• მიწის კანონმდებლობის დარღვევა	35
• უკანონო (ნებართვის გარეშე) საქმიანობა	51
• ლუქის დაზიანება	20
. გმო-ს კონტროლის თაობაზე	9
• დეპარტამენტის საქმიანობაზე/საჩივარი/პრეტენზია	49
სულ	**2978**

კანონდარღვევათა სტატისტიკა

2022 წელს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გარემოსდაცვითი პატრულირებისა და ინსპექტირების განხორციელების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის **12 342** ფაქტი. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის **11 823** ფაქტი, რომლებიც გადაიგზავნა შესაბამის სასამართლო ორგანოებში განსახილველად;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე **519** ფაქტი, საქმეები რომელთა შესახებ გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.



კანონმდებლობის დარღვევათა დინამიკა, 2019-2022



	ცენტრალური ოფისი	აღმოსავლეთის რეგ. სამმართვ.	სამცხე-ჯავახეთის რეგ. სამმართვ.	ქვემო ქართლის რეგ. სამმართვ.	კახეთის რეგ. სამმართვ.	დასავლეთის რეგ. სამმართვ.	სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგ. სამმართვ.	აჭარისა და გურიის რეგ. სამმართვ.	შავი ზღვის დაცვის კონვენც. სამმართვ.
ადმინისტ.	840	1631	739	729	2690	2598	1083	1450	63
სისხლი	20	46	21	46	73	139	90	84	

კანონმდებლობის დარღვევათა გამოვლენა სამსახურების მიხედვით, 2022

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

• ტყითსარგებლობის წესების დარღვევა	1 813 ფაქტი
• ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევა	1 301 ფაქტი
• სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვება	757 ფაქტი
• ნადირობის წესების დარღვევა	578 ფაქტი
• თევზჭერის წესების დარღვევა	526 ფაქტი
• ნარჩენების მართვის კანონმდებლობის დარღვევა	2 729 ფაქტი
• სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა	785 ფაქტი
• ხე-ტყის დამზადების/სამონადირეო მეურნეობის/სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა	32 ფაქტი
• თევზჭერის ლიცენზიის პირობების დარღვევა	20 ფაქტი
• ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევა	1 853 ფაქტი
• მიწის კანონმდებლობის დარღვევა	397 ფაქტი
• წყლის კანონმდებლობის დარღვევა	345 ფაქტი
• ნებართვის პირობების დარღვევა /უნებართვო საქმიანობა	328 ფაქტი
• გემებიდან ზღვის დაბინძურება	21 ფაქტი
• სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებათა რეგისტრაციის წესების დარღვევა	25 ფაქტი
• სხვა დარღვევები	832 ფაქტი
სულ	**12 342 ფაქტი**



სამართალდარღვევათა სტრუქტურა, 2022 წ.

სისხლის სამართლის საქმეები

სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე **519** საქმე გადაგზავნილია საგამოძიებო ორგანოებში შემდგომი რეაგირებისთვის. მათ შორის:

• ხე-ტყის უკანონო მოპოვება	212
• უკანონო თევზჭერა/ნადირობა	122
• სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა	87
• წიაღის უკანონო მოპოვება	77
• მიწის დაბინძურება, დეგრადაცია, ნაყოფიერი ფენის მოხსნა	8
• ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება	6
• წყლის ობიექტის დაბინძურება	2
• უნებართვო საქმიანობა	2
• სხვა დარღვევები	3
	სულ 519 საქმე

ჯარიმა და გარემოზე მიყენებული ზიანი

2022 წელს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ **9 281 368** ლარი შეადგინა.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ **12 877 751** ლარი შეადგინა, მათ შორის:

- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტებზე - 10 979 947 ლარი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე - 1 897 804 ლარი.

უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი

2022 წელს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოვლინდა უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი:

სახეობა	ოდენობა	სახეობა	ოდენობა
ინერტული მასალა, მ³	1 064 551	ხე-ტყე სამასალე,მ³	5 299,4
საცემენტე ნედლეული, მ³	83302,4	ხე-ტყე საშეშე, მ³	2 886,8
მანგანუმის ნედლი მადანი, ტ	6436,4	თევზი, კგ	391,3
სილიკომანგანუმის წიდა, ტ	987,6	შველი, ეგზ.	2
მოსაპირკეთებელი ქვა, მ³	2	მურა დათვი, ეგზ.	3
ქვანახშირი, მ³	49	გარეული ღორი, ეგზ.	1
გაჯი (თიხა-თაბაშირი), მ³	120	კურდღელი, ეგზ.	9
ტეშენიტი, მ³	116,4	კვერნა, ეგზ.	1
თაბაშირი, მ³	15	ტურა, ეგზ.	1
ვულკანური წიდა, მ³	21867,2	ფრინველი, ეგზ.	39
მიწისქვეშა მტკნარი წყალი, მ³	7197,4		

რეგულირების ობიექტების ინსპექტირება

2022 წელს განხორციელდა რეგულირების ობიექტების (მათ შორის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოსდაცვთი ნებართვის/ გადაწყვეტილების მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 4 635 ინსპექტირება:

- **რეგულირების ობიექტების გეგმიური შემოწმებები** - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2022 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად;
- **რეგულირების ობიექტების არაგეგმიური შემოწმებები** - დეპარტამენტის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ შორის, მოქალაქეთა საჩივრების, "ცხელ ხაზზე" (153) შემოსული ინფორმაციების, უწყებების/ორგანიზაციების მომართვების, ასევე წინა შემოწმების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით.
- **რეგულირების ობიექტების საქმიანობის დათვალიერება-შესწავლა** - "ცხელ ხაზზე" შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირების, ობიექტის საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვების, პრევენციული ღონისძიებიების განხორციელების მიზნით.

რეგულირების ობიექტების ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის **3621** დარღვევა, მათ შორის, **3445** - ადმინისტრაციული, **176** - სისხლის სამართლის საქმე.

2022 წელს განხორციელდა 408 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება:

- **69** - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას და გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული ობიექტი;
- **6** - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია, ტყის ფონდის ტერიტორია (შერჩევით);
- **7** - სამონადირეო მეურნეობის / თევზჭერის სპეციალური ლიცენზია;
- **20** - გმო სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან ნიმუშების აღება/შემოწმება;
- **306** - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

2022 წელს **211** რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები - მათი საქმიანობის ინსპექტირების ან ანგარიშგების და სხვა პროცესში გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად

სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით. მათ შორის, **93** რეგულირების ობიექტს - საქმიანობის შეზღუდვის (სრული ან ნაწილობრივი) მოთხოვნით დარღვევის სრულ აღმოფხვრამდე.

ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმების შედეგები

2022 წელს განხორციელდა **5** ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის პირობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების შემოწმება და **1** ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შემოწმება.

შედეგი:

- შემოწმების შედეგებით გამოვლინდა კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, მათ შორის, 4 საქმეზე შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

- ტყეკაფის არასწორად გამოყოფა (2 საქმე);
- ხე-ტყის ჭრით ნარჩენებისგან გაუწმენდაობა (3 საქმე);
- ხე-ტყის უკანონო ჭრა (5 საქმე).

სულ, 2022 წელს დეპარტამენტის მიერ ინსპექტირებისა და პატრულირების პროცესში გამოვლინდა უკანონოდ მოჭრილი **8 186,2 მ³** ხე-ტყე, მათ შორის:

- სამასალე - 5 299,4 მ³
- საშეშე - 2 886,8 მ³

გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ **3 016 908,3** ლარი შეადგინა

სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგები

2022 წელს განხორციელდა **6** სამონადირეო მეურნეობის შემოწმება ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

- **1** შემოწმების შედეგად, გამოვლინდა ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და სისხლის სამართლის ფაქტი (ხე-ტყის უკანონო ჭრით გარემოსთვის მიყენებული ზიანმა შეადგინა 11 557,68 ლარი).
- **5** შემოწმების შედეგად, დარღვევა არ გამოვლინდა.

თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის პირობების შემოწმების შედეგები

2022 წელს განხორციელდა 1 თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის შემოწმება. ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

- შემოწმების შედეგად, დარღვევა არ გამოვლინდა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემოწმების შედეგები

2022 წელს დეპარტამენტის მიერ განხორციელდა გეგმიური/არაგეგმიური შემოწმება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას და გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებულ 68 რეგულირების ობიექტში. შემოწმების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნებართვის/ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების დარღვევებზე კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარების შემდგომ, დარღვევათა აღმოსაფხვრელად, განესაზღვრათ ან განესაზღვრებათ გონივრული ვადები.

შავი ზღვის დაბინძურებისა და თევზჭერის კონტროლი

შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახურის მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად:

- განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული **306** გემის ინსპექტირება გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- სახომალდო დოკუმენტებში მავნე ნივთიერებებსა და მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის მოვალეობათა შეუსრულებ-ლობისთვის **25** მცურავი საშუალების პასუხისმგებელ პირთა მიმართ გატარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ზომები.
- დაფიქსირდა გემებიდან ზღვის დაბინძურების **21** შემთხვევა. პასუხისმგებელი პირები დაჯარიმდნენ - თითოეული **65 000** ლარით. გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 248 435 ლარი. დაწესდა კონტროლი ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე.

შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული რეიდების შედეგად გამოვლინდა თევზჭერის წესების დარღვევის **5** ფაქტი, ჩამორთმეულ იქნა სამართალდარღვევის ჩადენის იარაღები (5 ბადე, 4 ნავი, ასევე ზღვიდან ამოღებულია 38 ერთეული სახლართი ტიპის უპატრონო ბადე).

შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერა, 2021-2022 წ.წ. სეზონი

თევზის სახეობა	**თევზის მოპოვება, კილოგრამებში**
ქაფშია	59 400 631,0
სტავრიდა	7 874,0
ხონთქარა	7 829,5
პელამიდა	376,0
რაპანი	138,0
სულ მოპოვებული	**59 416 848,5**

პრევენციული ღონისძიებები

საწვავის ხარისხის კონტროლი



2022 წელს საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში განთავსებული **100** ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებიდან განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დიზელის საწვავის **29** სინჯში საწვავის ხარისხი არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.



ბენზინის, დიზელის სინჯების რაოდენობა, 2016-2022 წ.წ.

პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების კონტროლი

პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებისას კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების დადგენის მიზნით, განხორციელდა **79** ობიექტის ინსპექტირება და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები. **37** ობიექტზე გამოვლინდა ტექნიკური რეგლამენტის – „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის“ მოთხოვნების დარღვევა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენცია/შემცირება

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2021-2022 წლების განმავლობაში დეპარტამენტის მიერ **59** საწარმოს მიმართ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში ჩართულია **18** კომპანია (**7** - სერვისის გამართვის პროცესშია), რომელთა გაფრქვევის წყაროებზე დამონტაჟებული მონიტორინგის ხელსაწყოს/სინჯის ამღების მეშვეობით ინფორმაცია უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება დეპარტამენტს.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტროლი

"ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღებისა და მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით 2022 წელს განხორციელდა **20** შემოწმება.

- ლაბორატორიული კვლევის შედეგების შესაბამისად, საკვლევი ნიმუშები გმო მარკერებს არ შეიცავს.

მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების კონტროლი

2022 წლის განმავლობაში განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები არარეგისტრირებული სახერხი საამქროების ფუნქციონირების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით:

- 2022 წლის მდგომარეობით, მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი **763** საამქრო.
- გამოვლენილ იქნა **87** არარეგისტრირებული, უკანონო სახერხი საამქრო.

რეგიონები	სახერხი საამქროები	
	რეგისტრირებული	არარეგისტრირებული
ქ. თბილისი	4	2
მცხეთა-მთიანეთი	15	-
შიდა ქართლი	77	17
ქვემო ქართლი	3	1
კახეთი	39	6
სამცხე-ჯავახეთი	97	2
იმერეთი	123	27
რაჭა-ლეჩხუმი, ქვ. სვანეთი	86	1
გურია	55	6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	148	14
აჭარა	116	11
სულ, 2022 წ.	**763**	**87**

უკანონო ტყითსარგებლობის აღკვეთის ღონისძიებები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარის ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოზე ხე-ტყის (მათ შორის, სოციალური ხე-ტყის) და პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირების კონტროლის მიზნით, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ 24-საათიან რეჟიმში განხორციელდა **4000-ზე მეტი** ავტოტრანსპორტის დათვალიერება და ხე-ტყის და პირველადი გადამუშავების პროდუქტის დოკუმენტაციის შესაბამისობის გადამოწმება.

განსახორციელებელი გეგმები - 2023

2023 წელს გაგრძელდება მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

- **საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების შემუშავება,** კერძოდ, ცვლილებები და დამატებების მომზადება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში;
- **დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერება, აღჭურვილობის შეძენა/განახლება,** მათ შორის -
  - სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება ტყის კონტროლის მიმართულებით (GCF-ის ფარგლებში), მათ შორის, გაგრძელდება აღჭურვილობის შეძენა და შესაბამისი სწავლებების ჩატარება;
- **ცალკეული სამსახურების ფუნქციების გაძლიერება/ოპტიმიზაცია -**
  - ანალიტიკური სამსახურის გაძლიერება - რისკების მოდულის დანერგვა;
  - მონიტორინგის სამსახურის გაძლიერება - კონტროლის მექანიზმების გაზრდა;
  - რეგიონული სტრუქტურის ოპტიმიზაცია - აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს მე-3 განყოფილების ბაზაზე, შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს შექმნა.
- **თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მათ შორის -**
  - ინფრასტრუქტურული პროექტები ოფისების მშენებლობა ქუთაისსა და თელავში;
- **რეგულირების ობიექტების შემოწმებათა 2023 წლის გეგმის შემუშავება** და განხორციელება რისკების შეფასებისა და შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე;
- **ავტოსატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის** გზებზე კონტროლის ახალი ფუნქციის აღსრულების ღონისძიებების განხორციელება;
- **საავტომობილო საწვავის ხარისხის** კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კვლევების განხორციელება;
- **პლასტიკის ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების** წარმოებისას კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების დადგენის მიზნით ინსპექტირების განხორციელება;
- მაცივარაგენტებზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურებაზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით **მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული**

სისტემის დანერგვა და შესაბამისი სწავლებების განხორციელება, მათ შორის, ტრენინგები მეწარმეებისთვის;

- გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის ხელშეწყობის მიზნით **ელექტრონული სისტემების განვითარება,** მათ შორის ბუნებრივი რესურსების მიკვლევადობის გაუმჯობესება სხვა უწყებების ელექტრონულ სისტემებთან ჰარმონიზების გზით;
- **ინსპექტორების გადამზადება** სხვადასხვა პროექტის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკის გაცნობისა და ინსპექტირების პროცესში გამოყენების მიზნით.